

ფინანსური ანგარიშგება და კომპილაციის რეპორტი შპს მზარეული 1

2019 წლის 31 დეკემბერი



სარჩევი

კომპილაციის რეპორტი	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	9



კომპილაციის რეპორტი

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T + 995 322 604 406

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს „მზარეულის“ დამფუძნებლებს

ჩვენ შევადგინეთ შპს „მზარეული 1“-ის („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების (დასს) 4410-ის (გადასინჯული) – „კომპილაციური გარიგებები“ – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგხმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

ვახტანგ ცაბაძე

ქეთევან ღამბაშიძე

მმართველი პარტნიორი

რეგისტრირებული აუდიტორი

15 სექტემბერი 2020



Grant Thornton

An instinct for growth™

კომპილაციის რეპორტი

შპს გრანტ თორნტონ

ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო

ტ. + 995 322 604 406

Grant Thornton LLC

54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia

T + 995 322 604 406

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შპს "მზარეულის" დამფუძნებლებს

ჩვენ შევადგინეთ შპს „მზარეული 1“-ის („კომპანია“) ფინანსური ანგარიშგება თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

კომპილაციური გარიგება შევასრულეთ დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების (დასს) 4410-ის (გადასინჯული) – “კომპილაციური გარიგებები” – შესაბამისად.

ჩვენ გამოვიყენეთ ბუღალტრული აღიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, რათა დაგზმარებოდით თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაში, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს). ჩვენ დავიცავით შესაფერისი ეთიკური ნორმები, მათ შორის პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების პრინციპები.

ამ ფინანსურ ანგარიშგებასა და მისი კომპილაციისთვის გამოყენებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

ვინაიდან კომპილაციური გარიგება არ არის მარწმუნებელი გარიგება, ჩვენ არ გვევალება თანდართული ფინანსური ანგარიშგების კომპილაციის მიზნებისთვის თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება. შესაბამისად, არ წარმოვადგენთ აუდიტორულ მოსაზრებას, არც მიმოხილვის დასკვნას იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ეს ფინანსური ანგარიშგება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს).

ვახტანგ ცაბაძე

მმართველი პარტნიორი

15 სექტემბერი 2020

ქეთევან ღამბაშიძე

რეგისტრირებული აუდიტორი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	1,804,953	2,116,878
არამატერიალური აქტივები	6	42,244	52,405
გამოყენების უფლება	5	309,541	-
		2,156,738	2,169,283
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
მარაგები	7	221,924	179,946
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	132,682	44,346
წინასწარი გადახდები		345	10,538
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	6,006	293
		360,957	235,122
სულ აქტივები		2,517,695	2,404,406
კაპიტალი და ვალდებულებები			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	10.1	1,352,000	1,012,000
აკუმულირებული მოგება		(3,158,181)	(2,316,987)
		(1,806,181)	(1,304,987)
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	11	1,692,772	1,833,374
ფინანსური იჯარის პირობები	12	162,663	-
		1,855,435	1,833,374
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,197,178	1,544,900
ფინანსური იჯარის პირობები	12	205,289	-
სესხები	11	1,065,974	331,118
		2,468,441	1,876,018
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,517,695	2,404,406

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 22 ივლისს:
 გიორგი ედიბერიძე აბესალომ ქოროღლიშვილი
 დირექტორი ფინანსური მენეჯერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	4	1,804,953	2,116,878
არამატერიალური აქტივები	6	42,244	52,405
გამოყენების უფლება	5	309,541	-
		<u>2,156,738</u>	<u>2,169,283</u>
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
მარაგები	7	221,924	179,946
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	132,682	44,346
წინასწარი გადახდები		345	10,538
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	6,006	293
		<u>360,957</u>	<u>235,122</u>
სულ აქტივები		<u>2,517,695</u>	<u>2,404,406</u>
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
საწესდებო კაპიტალი	10.1	1,352,000	1,012,000
აკუმულირებული მოგება		(3,158,181)	(2,316,987)
		<u>(1,806,181)</u>	<u>(1,304,987)</u>
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	11	1,692,772	1,833,374
ფინანსური იჯარის პირობები	12	162,663	-
		<u>1,855,435</u>	<u>1,833,374</u>
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	1,197,178	1,544,900
ფინანსური იჯარის პირობები	12	205,289	-
სესხები	11	1,065,974	331,118
		<u>2,468,441</u>	<u>1,876,018</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>2,517,695</u>	<u>2,404,406</u>

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 22 ივლისს:

გიორგი ედიბერიძე

დირექტორი

აბესალომ ქოროლიშვილი

ფინანსური მენეჯერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი		(5,318,474)	(5,289,840)
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება		4,509,796	4,696,855
საერთო მოგება		(808,678)	(592,985)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		(52,595)	-
დისტრიბუციის და მარკეტინგის ხარჯები	14	557,780	464,165
ადმინისტრაციული ხარჯები	15	525,117	646,582
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		221,624	517,762
ფინანსური ხარჯები	16	315,880	222,419
კურსთაშორისი მოგება/ზარალი	17	83,782	9,323
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები		216,333	206,876
მოგება დაბეგვრამდე		837,619	956,380
მოგების გადასახადის ხარჯი		3,575	9,426
წლის მოგება		841,194	965,806
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		841,194	965,806

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-37 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ
2018 წლის 1 იანვარი	1,012,000	(1,351,181)	(339,181)
წლის მოგება/(ზარალი)		(965,806)	(965,806)
გადაფასების ნამეტი			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(965,806)	(965,806)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-	-	-
ოპერაციები დამფუძნებლებთან	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,012,000	(2,316,987)	(1,304,987)
წლის მოგება		(841,194)	(841,194)
გადაფასების ნამეტი			
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		(841,194)	(841,194)
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	340,000		340,000
ოპერაციები დამფუძნებლებთან	340,000		340,000
2019 წლის 31 დეკემბერი	1,352,000	(3,158,181)	(1,806,181)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-37 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით
შენიშვნებთან ერთად

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/(ზარალი)	(841,194)	(965,806)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	593,778	99,184
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	(24,000)	56,044
საპროცენტო ხარჯი	315,880	222,419
მოგების გადასახადის ხარჯი	3,575	9,426
კურსთაშორისი მოგება/ზარალი	83,782	9,323
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	131,821	(569,410)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(88,334)	42,944
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივების	10,193	74,442
ცვლილება მარაგებში	(41,977)	4,627
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(347,456)	1,028,315
ფულადი ნაკადები ოპერაციებიდან	(335,753)	580,918
გადახდილი პროცენტი	(296,992)	(222,419)
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,575)	(9,426)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო ნაკადებიდან	(636,320)	349,073
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(341,333)	(1,563,573)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(99,639)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული	247,995	267,103
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(93,338)	(1,396,109)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსავალი სესხებიდან	1,844,109	2,709,829
სესხების დაფარვა	(1,327,320)	(1,653,317)
შემოსავალი სააქციო კაპიტალის გაზრდიდან	340,000	-
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(121,381)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	735,408	1,056,512

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-37 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებთა შინაშენებთან ერთად

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთების წმინდა ზრდა	5,750	9,476
ფულადი სახსრების სავალუტო ეფექტი	(37)	(10,495)
ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთები წლის დასაწყისში	293	1,312
ფულადი სახსრებისა და საბანკო ნაშთები წლის ბოლოს	6,006	293

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 9-37 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით
შენიშვნებთან ერთად

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “მზარეული 1” (კომპანია) დაარსდა 2004 წელს და დაარსების დღიდან დღემდე აწარმოებს ნახევარ ფაბრიკატებს ტრადიციული ქართული და ევროპული სამზარეულოდან.

შპს “მზარეული 1” -ის 100%-ის წილის მფლობელი არის საქართველოში დაფუძნებული და დარეგისტრირებული სააქციო საზოგადოება ნიკორა.

“მზარეული 1” -ის რეგისტრირებული მისამართი არის მ. ქავთარაძის ქუჩა 11, თილისი, საქართველო.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 103 თანამშრომელს (2018: 95)

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის საფუძველზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2019 წელს კომპანიამ მიიღო ახალი სახელმძღვანელო იჯარის აღიარების შესახებ (იხ. შენიშვნა 2.5) ახალი სტანდარტი გამოყენებულია რეტროსპექტული მეთოდის გამოყენებით, რომლის თანახმადაც, აკუმულირებული ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღიარებულია, როგორც კორექტირება აკუმულირებულ შედეგებზე. შესაბამისად, კომპანიას არ აქვს ვალდებულება წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობის სამი წლის შესადარისი ანგარიში.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკოტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასების და მოსაზრების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-18 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედული სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

ახალი და გადახედული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

შესწორებები ფასს 9-ში: წინასწარი გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით.

ფასს 9-ის თანახმად, სესხის ინსტრუმენტი შეიძლება შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულყოფილი შემოსავლის საშუალებით, იმ პირობით, რომ სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობა არის "მხოლოდ ძირითადი თანხის გადახდა და გადასახდელი ძირითადი თანხის პროცენტი" (SPPI კრიტერიუმი) და ინსტრუმენტი ტარდება შესაბამისი ბიზნესის მოდელის შესაბამისად ამ კლასიფიკაციისთვის. ფასს 9-ში შესწორებები განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი გაივლის SPPI კრიტერიუმს, მიუხედავად იმ მოვლენისა თუ ვითარებისა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების ადრეულ შეწყვეტას და იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარე გადაიხდის ან მიიღებს გონივრულ კომპენსაციას ხელშეკრულების ადრეული შეწყვეტისთვის.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 იჯარა ანაცვლებს ბასს 17 იჯარას, სამ ინტერპრეტაციასთან ერთად (ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“)

ახალი სტანდარტის მიღებამ კომპანიაში გამოიწვია აქტივის გამოყენების უფლებისა და მასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებების აღიარება ყველა წინანდელ საოპერაციო იჯარასთან მიმართებაში, გარდა იმ იჯარებისა, რომელთაც აქვთ დაბალი ღირებულება, ან 12 თვეზე ნაკლები დარჩენილი საიჯარო ვადა თავდაპირველი აღიარების თარიღიდან.

ახალი სტანდარტი გამოყენებულია შეცვლილი რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენებით, ხოლო ფასს 16-ის მიღების კუმულაციური ეფექტი აღიარებულია კაპიტალში, როგორც მიმდინარე პერიოდისთვის გაუნაწილებელი მოგების საწყისი ბალანსის კორექტირება. წინა პერიოდები არ განმეორებულა.

სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის გაფორმებული კონტრაქტებისთვის, კომპანიამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა იჯარის განსაზღვრება ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით და არ გამოეყენებინა ფასს 16-ის გარიგებებისთვის, რომლებიც თავდაპირველად არ იყო აღიარებული, როგორც იჯარა ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანიამ გადაწყვიტა არ ჩაერთო თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები იმ აქტივების გამოყენების უფლების შეფასებაში, რომლებსაც კომპანია ფლობს მოკლევადიანი იჯარისთვის ფასს 16-ის გამოყენების დაწყების თარიღისთვის - 2019 წლის 1-ლი იანვრისთვის. ამ თარიღისთვის, კომპანიამ ასევე აირჩია აქტივების გამოყენების უფლების შეფასება საიჯარო ვალდებულების ტოლი ოდენობით, დაკორექტირებული წინასწარ გადახდილი, ან დარიცხული საიჯარო გადასახდელებით, რომლებიც არსებობდა ოპერაციის თარიღისთვის.

აქტივის გამოყენების უფლებაზე გაუფასურების ტესტირების ნაცვლად, სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღისთვის, კომპანია დაეყრდნო თავის ისტორიულ შეფასებებს, ჰქონდა თუ არა იჯარას მნიშვნელოვანი გავლენა ფასს 16-ის პირველადი გამოყენების თარიღამდე.

ახალ სტანდარტზე გადასვლის მომენტისთვის, იჯარებისთვის, რომლებიც მანამდე აღრიცხული იყო, როგორც საოპერაციო იჯარა 12 თვეზე ნაკლები საიჯარო ვადითა და დაბალი ღირებულებით, კომპანიამ გამოიყენა არჩევითი გამონაკლისები არ ეღიარებინათ აქტივის გამოყენების უფლება, არამედ აღერიცხა ისინი საიჯარო ხარჯად წრფივი მეთოდით, დარჩენილ საიჯარო პერიოდზე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო განაკვეთი ფასს 16-ით განსაზღვრულ საიჯარო ვალდებულებებთან მიმართებაში შეადგენდა 10.01%-ს.

საიჯარო ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, კომპანიამ იხელმძღვანელა არსებული ფაქტებით და გარემოებებით.

ფასიკ 23 ცვალებადობა მოგების გადასახადის მოდგომასთან

ფასიკ 23 იძლევა მითითებებს, თუ როგორ უნდა აისახოს ბასს 12-ის შესაბამისად საშემოსავლო გადასახადის აღრიცხვაზე გაურკვევლობის შედეგები, კერძოდ (i) უნდა განიხილებოდეს თუ არა განუსაზღვრელი საგადასახადო მკურნალობა ცალკე, დასაბეგრი მოგება (გადასახადის ზარალი), საგადასახადო ბაზები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტები და გადასახადის განაკვეთები და (iv) ფაქტებსა და გარემოებებში ცვლილებების გავლენა.

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, ბასს-ის მიერ, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და კომპანიას ისინი ჯერ არ მიუღია.

ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი განცხადება მიიღება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში პირველივე პერიოდისათვის, რომელიც იწყება გამოცხადების ძალაში შესვლის თარიღიდან ან მას შემდეგ. ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც შესაძლებელია რელევანტური გახდეს კომპანიის ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია ქვემოთ. ზოგიერთი სხვა ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია ასევე იქნა გამოშვებული, მაგრამ არ არის სავარაუდო, რომ მათ ექნებათ არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ზოგადი პირობები

ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის კონცეფციები გამოყენებულ იქნა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის. გაეცანით 2.5-ის შენიშვნას სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შესახებ, რომლებიც გაცემულია, მაგრამ ჯერ არ იყო ეფექტური და კომპანიის მიერ არ იქნა მიღებული ადრე.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი, ერთი ევრო 3.0701, არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები წარდგენილია ძირითადი საშუალებების მუხლში. ასეთ აქტივების ცვეთადი პერიოდი განისაზღვრება მათ მოსალოდნელ საციფოცლო ვადასა და იჯარის პერიოდს შორის უმცირესით.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

მანქანა დანადგარები და მძიმე აღჭურვილობა	- 5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 5 წელი

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.5 იჯარა

როგორც აღწერილია შენიშვნა **Error! Reference source not found.**-ში, კომპანიამ გამოიყენა ფასს 16-ის მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა, შესაბამისად, შესადარისი ინფორმაცია ხელახლა არ შეფასებულა. რაც გულისხმობს იმას, რომ შესადარისი ინფორმაცია კვლავ ბასს 17-ისა და ფასიკ 4 შესაბამისადაა წარდგენილი.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან

კომპანია, როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც გაფორმებულია 2019 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ, კომპანია განიხილავს არის თუ არა, ან შეიცავს, თუ არა ხელშეკრულება იჯარას. იჯარა განიშარტება, როგორც "ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების სანაცვლოდ." ამ განმარტების

თანახმად, კომპანია აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება შემდეგ სამ მთავარ შეფასების კრიტერიუმს:

- შეიცავს თუ არა კონტრაქტი იდენტიფიცირებად აქტივს, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, ან არაპირდაპირი გზით ხდება აქტივის იდენტიფიცირება იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება კომპანიისთვის.
- აქვს თუ არა კომპანიას ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან მთლიანი ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლება აქტივის გამოყენების პერიოდის განმავლობაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებების ფარგლებში.
- აქვს თუ არა კომპანიას იდენტიფიცირებადი აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. აქვს თუ არა უფლება გადაწყვიტოს „როგორ და რა მიზნით“ გამოიყენოს აქტივი მისი ფლობის პერიოდში.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

კომპანია, აქტივების გამოყენების უფლებებისთვის, იყენებს ცვეთის წრფივ მეთოდს იჯარის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. კომპანია ასევე აფასებს აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებას, როდესაც ასეთი ინდიკატორი არსებობს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება, ან კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთის საშუალებით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეამციროს განხორციელებული საიჯარო გადახდებით და გაზარდოს საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტით. საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები.

საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღრიცხოს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის გამოყენებით. აქტივის

გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების აღიარების ნაცვლად, იჯარასთან დაკავშირებული გადახდები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება წარმოდგენილია განცალკევებით.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრამდე

კომპანია, როგორც მოიჯარე

ფინანსური იჯარა

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას საიჯარო ხელშეკრულების არსის განხილვისას და გადასცემს თუ არა იგი საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს. განხილული ძირითადი ფაქტორები მოიცავს საიჯარო პერიოდის ხანგრძლივობას აქტივის ეკონომიკურ მომსახურების ვადასთან მიმართებაში, მინიმალური საიჯარო გადასახდელების ახლანდელ ღირებულებას აქტივის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში და გადადის თუ არა მფლობელობა კომპანიაზე იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ.

როდესაც იჯარა მოიცავს მიწას და შენობა-ნაგებობებს, იჯარის მინიმალური გადასახადები პირველად გამოიყოფა თითოეულ კომპონენტზე შესაბამისი საიჯარო პროცენტის სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. შემდეგ, თითოეული კომპონენტი ფასდება ცალ-ცალკე, როგორც განსასაზღვრი ფაქტორი, მიეკუთვნება თუ არა იგი ფინანსური იჯარის ნაწილს, იმის გათვალისწინებით, რომ მიწას, როგორც წესი, განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა აქვს.

ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივების ცვეთის მეთოდებისა და სასარგებლო მომსახურების ვადების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

საიჯარო გადახდების საპროცენტო ელემენტი ხვდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური ხარჯები იჯარის ვადის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარა

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. თუ კომპანია მოიჯარეა, გადახდები საოპერაციო იჯარაზე აღიარდება, როგორც ხარჯი, წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდის განმავლობაში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორებიცაა მომსახურებისა და დაზღვევის, აღიარდება პერიოდის ხარჯებად.

3.6 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური აქტივები:

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სასესხო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა, კომპანიას შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიამ შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

ბიზნეს მოდელის შეფასება:

კომპანია აფასებს ბიზნესმოდელის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის დონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, “ძირი” განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, კომპანია ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტივი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილებას.

რეკლასიფიკაცია:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება:

კომპანია ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კომპანია გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის უნდა შეაფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი სხვობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ

მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის).

- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
- აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც კომპანიისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება:

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. კომპანია იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშუალო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას.

ჩამოწერა:

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ ის შემთხვევაა, როცა კომპანიამ ამოწურა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს კომპანიის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება:

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.7.1. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი

ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთობლივი განხორციელების შესახებ.

3.8 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.9 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით.

ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დედა კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ყველა ოპერაცია წარდგენილია ცალკე კაპიტალის ანგარიშებაში.

3.10 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას. ყველაზე

მნიშვნელოვანი ცვლილებები ეხება კორპორატიული შემოსავლის დაბეგვრის ახალი მოდელის შემოღებას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ-საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

3.12 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

4 ძირითადი საშუალებები

ლარი

	მანქანა დანადგარები და აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და დანადგარები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
<i>თვითღირებულება</i>							
2018 წლის 1 იანვარი	1,350,456	208,111	194,748	56,615	-	56,381	1,866,311
შემოსვლა	-	33,310	-	1,508	1,528,755	-	1,564,573
გასვლა	(89,254)	-	(23,813)	-	-	(48,507)	(161,574)
შიდა მოძრაობა	1,238,475	-	115,837	-	(1,354,312)	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	2,499,677	241,421	286,772	58,123	174,443	7,874	3,268,310
შემოსვლა	200,190	93,901	16,933	11,739	18,570	-	341,333
გასვლა	(26,680)	-	-	(8,636)	(193,013)	(7,874)	(236,203)
2019 წლის 31 დეკემბერი	2,673,187	335,322	303,705	61,226	-	-	3,373,440
<i>აკუმულირებული ცვეთა</i>							
2018 წლის 1 იანვარი	830,570	188,165	107,930	27,197	-	7,355	1,161,217
წლის ცვეთა	33,254	16,094	30,817	2,619	-	12,960	95,744
გასვლის შედეგად ელიმინირება	(76,959)	-	(8,255)	-	-	(20,315)	(105,529)
2018 წლის 31 დეკემბერი	786,865	204,259	130,492	29,816	-	-	1,151,432
წლის ცვეთა	351,142	37,298	34,451	5,956	-	-	428,847
გასვლის შედეგად ელიმინირება	(3,158)	-	-	(8,634)	-	-	(11,793)
2019 წლის 31 დეკემბერი	1,134,849	241,557	164,943	27,138	-	-	1,568,487
<i>საბალანსო ღირებულება</i>							
2018 წლის 31 დეკემბერი	1,712,812	37,162	156,280	28,307	174,443	7,874	2,116,878
2019 წლის 31 დეკემბერი	1,538,338	93,765	138,762	34,088	-	-	1,804,953

1,804,953 ლარის საბალანსო ღირებულების ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დატვირთულია იპოთეკით სესხის უზრუნველყოფის მიზნებისთვის. (31 დეკემბერი 2018 : 2,116,878 ლარი)

5 აქტივების გამოყენების უფლება

ლარი	შენიშვნა ნაგებობები	სულ
<i>თვითღირებულება</i>		
2019 წლის 1 იანვარი		
კორექტირება ფასს 16-ზე გადასვლისას	464,312	464,312
შემოსვლა	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	464,312	464,312
<i>დაგროვილი ცვეთა</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
წლის ცვეთა	154,771	154,771
2019 წლის 31 დეკემბერი	154,771	154,771
<i>საბალანსო ღირებულება</i>		
2019 წლის 1 იანვარი	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	309,541	309,541

ცვეთის ხარჯი დარიცხულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე, საიჯარო აქტივების ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომელიც განსაზღვრულია 3 წლით.

6 არამატერიალური აქტივები

ლარი	პროგრამული უზრუნველყოფა	ლიცენზიები	სხვა	სულ
<i>თვითღირებულება</i>				
2018 წლის 1 იანვარი	-	6,358	246	6,604
შემოსვლა	54,127	-	45,512	99,639
გასვლა	-	(6,358)	(44,040)	(50,398)
2018 წლის 31 დეკემბერი	54,127	-	1,718	55,844
შემოსვლა	45,512	-	-	45,512
გასვლა	(45,513)	-	-	(45,513)
შიდა მოძრაობა	1,718	-	(1,718)	-
2019 წლის 31 დეკემბერი	55,844	-	-	55,844
<i>დაგროვილი ცვეთა</i>				
2018 წლის 1 იანვარი	-	-	122	122
წლის ცვეთა	3,440	-	-	3,440
გასვლის შედეგად ელიმინირებული	-	-	(122)	(122)
2018 წლის 31 დეკემბერი	3,440	-	-	3,440
წლის ცვეთა	10,160	-	-	10,160
გასვლის შედეგად ელიმინირებული	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	13,601	-	-	13,600
<i>საბალანსო ღირებულება</i>				
2018 წლის 31 დეკემბერი	50,687	-	1,718	52,405
2019 წლის 31 დეკემბერი	42,244	-	-	42,244

7 მარაგები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მზა საქონელი	30,809	29,814
ნედლეული	188,166	144,729
სხვა	2,949	5,403
	221,924	179,946

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	132,457	44,346
სხვა მოთხოვნები	225	-
	<u>132,682</u>	<u>44,346</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად. სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღიანია, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი. 365 დღეს არ გადასცილდა არცერთი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს წარსულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებლები განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან.

9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	639	290
საბანკო ანგარიშები	5,367	3
	<u>6,006</u>	<u>293</u>

10 კაპიტალი და რეზერვები

10.1 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,352,00 ლარს. (31 დეკემბერი 2018: 1,012,000).

11 სესხები

ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები	1,053,850	331,118	1,172,772	1,363,374
სესხები მოკავშირე მხარეებისგან	12,124	-	520,000	470,000
	<u>1,065,974</u>	<u>331,118</u>	<u>1,692,772</u>	<u>1,833,374</u>

კომპანიას აქვს თიბისი ბანკისგან მიღებული სესხები 1-7 წლამდე დაფარვის ვადით წლიური 12.5% საპროცენტო განაკვეთით, რომელიც მიზნულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე. კომპანიას სესხი აქვს დაკავშირებული მხარის სს ნიკორასგან, 3 წლამდე დაფარვის ვადით და წლიური ფიქსირებული 11.5 % საპროცენტო განაკვეთით.

საბანკო სესხები გაიცემა ძირითადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებით. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ყველა მოძრავი მატერიალური და არამატერიალური ქონებით, მარაგითა და მისაღები მოთხოვნებით.

იხ. 21-ე შენიშვნა იმ ვალუტის შესახებ, რომელშიც გამოსახულია სასესხო ნაშთები

12 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე	205,289	-
გრძელვადიანი	162,663	-
	<u>367,952</u>	<u>-</u>

კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადებები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახადებები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობენ საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში. ინფორმაცია აქტივების გამოყენების უფლების შესახებ იხ. შენიშვნა **Error! Reference source not found.**-ში.

თითოეული იჯარის ხელშეკრულება აწესებს შეზღუდვას იმაზე, რომ, თუ კომპანიას ხელშეკრულების მიხედვით არ აქვს უფლება საიჯარო აქტივი გადასცეს მესამე მხარეს, აქტივის გამოყენების უფლება შეუძლია მხოლოდ კომპანიას.

იხ. 21-ე შენიშვნა იმ ვალუტის შესახებ, რომელშიც ნაჩვენებია საიჯარო ნაშთები.

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია დაკავშირებული ძირითადი საშუალებებით. სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები 2019 წლის 31 დეკემბერს შემდეგი იყო:

ლარი	მინიმალური საიჯარო გადასახადები	
	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
წლის განმავლობაში		
საიჯარო გადასახადები	(220,464)	-
ფინანსური გადასახადები	15,175	-
	<u>(205,289)</u>	<u>-</u>
მეორედან მეხუთე წლის ჩათვლით		
საიჯარო გადასახადები	(185,340)	-
ფინანსური გადასახადები	22,677	-
	<u>(162,663)</u>	<u>-</u>
ხუთი წლის შემდეგ		
საიჯარო გადასახადები	-	-
ფინანსური გადასახადები	-	-
	<u>-</u>	<u>-</u>
წმინდა დღევანდელი ღირებულება	<u>(367,952)</u>	<u>-</u>

საიჯარო გადახდები რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვის ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწვევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

ლარი

	2019
დაბალი ღირებულების აქტივების იჯარა	175,310
ცვლადი საიჯარო გადასახადები	-
მოკლევადიანი იჯარები	-
	175,310

ცვლადი საიჯარო გადასახადები აღიარდება მათი გაწვევის პერიოდში.

დამატებითი ინფორმაცია სარგებლობის უფლების მქონე აქტივების შესახებ აქტივების კლასების მიხედვით შემდეგია:

ლარი

	საბალანსო თანხა(იხ შენიშვნა 5)	ცვეთის ხარჯი	გაუფასურება
შენობა-ნაგებობები	309,541	154,771	-
სარგებლობის სრული უფლება	309,541	154,771	-

აქტივების გამოყენების უფლებები ჩართული ანგარიშგების იმ მუხლში, რომლის შემადგენლობაშიც აისახებოდა შესაბამისი საიჯარო აქტივები იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს საკუთრებაში იქნებოდა.

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	1,115,701	1,475,043
საგადასახადო ვალდებულებები	69,315	69,114
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	12,162	283
სხვა		460
	1,197,178	1,544,900

იხილეთ შენიშვნა 21 თუ რა ვალუტაშია წარმოდგენილი სავაჭრო და სხვა გადასახდელი ნაშთები.

14 გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯი

გაყიდვისა და მარკეტინგის ხარჯები მოიცავს საწვავის ხარჯებს, სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს, რეკლამის ხარჯებს და სხვა დაკავშირებულ ხარჯებს.

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ანაზღაურება	231,932	187,287
სარეკლამო ხარჯები	226,783	198,071
ტრანსპორტიერება	99,065	78,807
	<u>557,780</u>	<u>464,165</u>

15 ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ანაზღაურება	303,191	441,851
ცვეთა და ამორტიზაცია	53,848	39,104
რემონტი	32,039	33,530
გადასახადები გარდა მოგების გადასახადის	24,618	16,287
ოფისის ხარჯები	16,182	16,199
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	4,219	17,577
წარმომადგენლობითი ხარჯები	1,106	9,491
ბანკის მომსახურება	228	649
სხვა ხარჯები	89,686	71,894
	<u>525,117</u>	<u>646,582</u>

16 ფინანსური ხარჯები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯი სესხებზე	293,019	222,419
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	22,861	-
	<u>315,880</u>	<u>222,419</u>

17 კურსთაშორისი მოგება/(ზარალი)

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მოგება/(ზარალი) კურსთაშორისი სხვაობებიდან:		
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	(45)	(10,495)

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური
ვალდებულებები

(83,737)	1,172
(83,782)	(9,323)

18 შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. გლობალურად, COVID-19-მა გამოიწვია ბიზნესის საქმიანობაში მნიშვნელოვანი შეფერხება და ეკონომიკური გაურკვევლობის მნიშვნელოვანი ზრდა, აქტივების ფასებით და ვალუტის გაცვლითი კურსების მომატებული ცვალებადობით. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა, რომელიც მოიცავს საკვები პროდუქტებით მოვაჭრე დაწესებულებებს.

კომპანია აწარმოებს ნახევრად მზა პროდუქტებს ტრადიციული ქართული და ევროპული სამზარეულოსგან, რომლის თანახმად მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანიის ბიზნეს სექტორში დარღვევები მინიმალურია, ნედლეულის მიწოდება ადეკვატურია და კომპანიის პროდუქტებზე მოთხოვნა ჯერჯერობით შედარებით სტაბილურია. 2020 წლის მარტის ბოლოს, როდესაც საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა საგანგებო სიტუაცია საქართველოში, კომპანიამ განაგრძო წარმოების პროცესი ყოველგვარი შეფერხებისა და შეზღუდვების გარეშე. ამასთან, მარტის ბოლოს და 2020 წლის აპრილის თვეში შემცირდა გაყიდვები, მაგრამ ივნისიდან კვლავ დაიწყო ზრდა. კომპანიის მენეჯმენტი ელის, რომ ისინი სექტემბრამდე დაუბრუნდებიან დაგეგმილ გაყიდვებს.

კომპანია კვლავ მუშაობს სამუშაო პროცესის ისე ორგანიზებაზე, რომ შეძლოს გაუმკლავდეს გამოწვევებს, რომლებიც დაკავშირებულია გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან.

ხელშეკრულების პირობებში ცვლილებები არ მომხდარა არც უცხოელ და არც ადგილობრივ მომწოდებლებთან. მენეჯმენტი დადებითად აფასებს პანდემიით გამოწვეულ საბაზრო ფასების რისკებს, რადგან წარმოების პროცესი დაიგეგმა ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შემდგომი გადაწყვეტილებები, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოს ორგანიზებასა და კადრების უზრუნველყოფასთან:

- როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციამ, კომპანიამ გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ყველა თანამშრომელი და გადაეხადა ხელფასები სრულად, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში;
- ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი მუშაობდა დისტანციურად, სახლიდან;
- კომპანიამ შექმნა სპეციალური გუნდი პანდემიასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინირებისთვის;
- სამუშაო პროცესის შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიამ თანამშრომლები უზრუნველყო სატრანსპორტო მომსახურებით;
- კომპანიამ მომხმარებლების და თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეასრულა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია.

19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალები

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების ამოღების შესაძლებლობას თავის გამოცდილებისა და მომავალ მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების მონაცემები მოთხოვნებისთვის შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

19.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

არსებობს ზოგადი განუსაზღვრელობა COVID 19-ის მომავალი გავრცელების შესახებ, მაგრამ ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელშიც კომპანია ოპერირებს, და მარტიდან, როცა მთავრობამ განსაკუთრებული ზომები მიიღო პანდემიის საპასუხოდ, ივნისამდე პერიოდში სიტუაციის გაუმჯობესების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის ფუნქციონირება მოქმედი საწარმოს პრინციპით, არ დგას რისკის ქვეშ. ხელმძღვანელობის აზრით, საკვები პროდუქტების წარმოება და მიწოდება არის ერთერთი ყველაზე ძირითადი და გადამწყვეტი ბიზნესის კატეგორია, რომელიც ყველაზე ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაშიც კი განაგრძობს მუშაობას და საჭიროების შემთხვევაში, მხარდაჭერილი იქნება მთავრობის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ დედა და შვილობილი კომპანიები, საოპერაციო დონეებზე დრამატული ცვლილებების გარეშე განაგრძობენ საოპერაციო მოქმედებებს მომავალში, აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

20 ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	132,682	44,346
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	6,006	293
	<u>138,688</u>	<u>44,639</u>

ფინანსური ვალდებულებები

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ამორტიზირებული ღირებულება		
სესხები	2,758,746	2,164,492
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,197,178	1,544,900
ფინანსური იჯარის პირობები	367,952	-
	4,323,876	3,709,392
წმინდა პოზიცია	(4,185,188)	(3,664,753)

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

რისკის ფაქტორები

a) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა უცხოურ კომპანიებთან განხორციელებული გაყიდვებით, შესყიდვებითა და სესხებით, რომლებიც დენომინირებულია დოლარსა და ევროში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენებია თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ლარი

2019 წლის 31 დეკემბერი

	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,305	-
ფინანსური იჯარის პირობები	367,952	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	390,257	-
 წმინდა პოზიცია	 (390,257)	 -

ლარი

2018 წლის 31 დეკემბერი

	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	469,743	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,408	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	485,151	-
 წმინდა პოზიცია	 (485,151)	 -

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 15%-იანი (2018: 15%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 15% (2018: 15%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 15%-იანი (2018: 15%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 15%-ით (2018: 15%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ლარი

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2019	2018	2019	2018
მოგება/ზარალი	58,538	72,772	-	-

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2019	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
<i>ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით</i>		
სესხები		
ლარი	12.00 %	12.50 %

2018	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
<i>ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებებით</i>		
სესხები		
ლარი	10.50 %	10.50 %
აშშ დოლარი	9.00 %	9.00 %

b) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
დებიტორული დავალიანება	132,682	44,346
ბანკის ნაშთები	5,367	2
	<u>138,049</u>	<u>44,348</u>

რეპორტის გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივად ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური

ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

ლარი 2019	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საოჯარო ვალდებუ ლება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		10.01 %	12.50 %	12.01 %	
6 თვეზე ნაკლები	1,197,179	110,163	1,013,554	29,882	2,350,778
6 თვიდან 1 წლამდე	-	110,163	178,554	29,882	318,599
1-5 წლამდე	-	185,477	1,517,706	639,600	2,342,783
5 წელზე მეტი	-	-	-	-	-
	<u>1,197,179</u>	<u>405,803</u>	<u>2,709,814</u>	<u>699,564</u>	<u>5,012,160</u>
ლარი 2018	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ფინანსური საოჯარო ვალდებულ ება	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	სულ
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)			10.50 %	9.00 %	
6 თვეზე ნაკლები	1,475,326	-	313,592	490,882	2,279,800
6 თვიდან 1 წლამდე	69,144	-	168,171		237,315
1-5 წლამდე	-	-	1,681,715		1,681,715
5 წელზე მეტი	-	-	84,086		84,086
	<u>1,544,470</u>	<u>-</u>	<u>2,247,564</u>	<u>490,882</u>	<u>4,282,916</u>

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

22 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებსაც იხილავთ შენიშვნა **Error! Reference source not found.**-ში.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასაანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	(1,806,181)	(1,304,987)
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(6,006)	(293)
კაპიტალი	(1,812,187)	(1,305,280)
მთლიანი კაპიტალი	(1,806,181)	(1,304,987)
სესხები	2,758,746	2,164,492
ფინანსური იჯარის პირობები	367,952	-
სრული ფინანსირება	1,320,517	859,505
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	(1.37)	(1.52)

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკური სტრუქტურას, რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

COVID 19-ის პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. მომავალში სამთო პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

23.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანია სრულად ვერ აზღვევს მის ოპერაციებთან დაკავშირებულ ობიექტებს, საქმიანობის შეფერხებას ან მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს, ქონების ზიანთან თუ გარემოს დაცვასთან მიმართებით. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ დაზღვევას, არის რისკი იმისა რომ, აქტივების დაზიანებით ან გარემოს დაზარალებით მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

23.3 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

23.4 გარემოსდაცვითი საქმიანობები

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვის საკითხებთან დაკავშირებით და ამასთანავე სჯერა, რომ კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე მატერიალური გარემოსდაცვითი ვალდებულებები. ამასთან, საქართველოში გარემოს დაცვის კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და კანონმდებლობის პოტენციურმა ცვლილებამ ან ინტერპრეტირებამ, შესაძლოა მომავალში წარმოშვას გარკვეული ტიპის ვალდებულებები.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

ლარი	გრძელვადი იანი სესხები	მოკლევადი ანი სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2018 წლის 1 იანვარი	559,931	541,423	-	1,101,354
ფულადი ნაკადების მოძრაობა				
სესხის აღება	1,687,222	1,022,607	-	2,709,829
გადახდები	(231,299)	(1,644,437)	-	(1,875,736)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			-	
დარიცხული პროცენტი	-	222,419	-	222,419

მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობებიდან	3,369	3,257	-	6,626
რეკლასიფიკაცია	(185,849)	185,849	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	1,833,374	331,118	-	2,164,493
ფასს 16-ის კორექტირება	-	-	464,312	464,312
2019 წლის 1 იანვარი	1,833,374	331,118	464,312	2,628,805
ფულადი ნაკადების მოძრაობა				
სესხის აღება	770,743	1,073,366	-	1,844,109
გადახდები	(962,521)	(364,799)	(121,381)	(1,448,701)
პროცენტის დაფარვა		(267,357)	(29,635)	(296,992)
არაფულადი ნაკადების მოძრაობა				
დარიცხული პროცენტი		293,019	22,861	315,880
მოგება/ზარალი საკუროსო სხვაობებიდან	51,176	627	31,795	83,598
რეკლასიფიკაცია				
2019 წლის 31 დეკემბერი	1,692,772	1,065,974	367,952	3,126,698

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები და მმართველი ხელმძღვანელობა.

25.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

კომპანია კონტროლდება სს ნიკორას მიერ, რომელიც ფლობს 100%-იან წილს.

25.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ლარი ტრანზაქციები	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
----------------------	---------------------------	---------------------------

დამფუძნებლები

საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	6,207,665	4,761,106
სესხის მიღება	577,220	736,859
მომსახურების მიღება	(25,807)	(23,908)
სესხების დაფარვა	(563,370)	(883,817)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	48,068	55,962

ლარი ბალანსები

2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
---------------------------	---------------------------

დამფუძნებლები

მიღებული სესხები	(520,000)	(470,000)
------------------	-----------	-----------

25.3 ხელმძღვანელებთან და ოჯახის წევრებთან განხორციელებული ოპერაციები

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ:

ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	82,520	83,222
	82,520	83,222